მუხლი 1.
ზოგადი დებულებანი
1 ა(ა)იპ "ინტერნეტ ჯგუფი RE-აქცია" (შემდგომში საზოგადოება) არის არა სამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.
1.2 საზოგადოების ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
დაფუძნებულია 2008 წლის ——————
1.3 საზოგადოება, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
1.4 საზოგადოების ადგილსამყოფელია საქართველო,
———

მუხლი 2
მიზნები
2.1 საზოგადოების მიზნები:
1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა;
2. საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
3. საქართველოს ევროინტეგრაცია;

მუხლი 3
საქმიანობის ნორმები:
3.1 საწესდებო მიზნების მისაღწევად საზოგადოება:
- თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მათ შორის საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, საქართველოს პარლამენტთან, პოლიტიკურ პარტიებთან და პროფესიულ გაერთიანებებთან;
- ეწევა მოსახლეობაში საიმფორმაციო–შემეცნებით საქმიანობას;
შეფასებისა და მონიტორინგის, ასევე ორგანიზაციის პოზიციების გამოხატვის გზით --- აქტიურად მონაწილეობს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების განხილვაში,
- ქმნის საზოგადოების სტრუქტურულ ერთეულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ;
- ეწევა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის მის, როგორც არა სამეწარმეო
იურიდიული პირის ხასიათს;
-ეწევა სხვა საქმიანიბას, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.
მუხლი 4
წევრობა
4.1 საზოგადოების წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს ან უცხოეთის მოქალაქე (ფიზიკური პირი), რომელიც იზიარებს საზოგადობის მიზნებს.
4.2 საზოგადოების წევრობის მსურველი დადგენილი ფორმის წერილობითი განცხადებით მიმართავს
საზოგადოების გამგეობას. გამგეობა წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შემოსვლიდან არა უგვიანეს 6 თვისა. გაწევრიანების საკითხის გადაწყვეტამდე წევრობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საზოგადობის ორი წევრის დადგენილი ფორმის წერილობითი რეკომენდაცია.

4.3 პირი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს საზოგადოების საქმიანობას, ასოციაციის გამგეობის
გადაწყვეტილებით შეიძლება მიღებული იქნა საზოგადოების საპატიო წევრად. საპატიო წევრზე არ ვრცელდება საზოგადოების წევრისათვის ამ წესდებით დადგენილი უფლება–მოვალეობები.
4.4 საზოგადოების დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული პირები თანაბარი სტატუსით სარგებლობენ.
4.5 საზოგადოების წევრს უფლებამოსილება უწყდება:
ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;
ბ) გამგეობისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე საწევრო შენატანის ზედიზედ ერთი წლის
განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში;
გ) სასამართლო გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობისას;
დ) გარდაცვალებისას;
4.6 საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების წევრი შეიძლება გაირიცხოს საზოგადოებიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს ან იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 5

წევრთა უფლება–მოვალეობანი
5.1 საზოგადოების წევრს უფლება აქვს;
ა) მონაწილეობდეს საზოგადოების საერთო კრებს მუშაობაში;
ბ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს საზოგადოების მმართველობის ორგანოებში;
გ) კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს საზოგადობის პროგრამებში;
დ) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს გამგეობის სხდომებში;
ე) მიიღოს ყოველგვარი იმფორმაცია საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან
საზოგადოების საქმიანობის შესახებ;
ვ) საზოგადოების მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს საზოგადოების
საკუთრებაში არსებული იმფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;
ზ) ატაროს საზოგადობის ემბლემა.
5.2 საზოგადოების წევრი მოვალეა:
ა) დაიცვას ასოციაციის წესდება, შინაგანაწესი და მმართველი ორგანოების მერ მიღებული
გადაწყვეტილებები;
ბ) გაუფრთხილდეს საზოგადოების ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;
გ) შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს საზოგადოების საქმიანობაში;
დ) პროფესიულ საქმიანობაში იხელმძღვანელოს საზოგადოების მიზნებითა და პროფესიული ეთიკის
ნორმებით;
ე) გადაიხადოს საწევრო შესატანი დადგენილი წესითა და ოდენობით.

მუხლი 6

საერთო კრება

6.1 საზოგადოების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საზოგადოების წევრთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა გამგეობის მიერ და ტარდება წელიწადში ერთხელ ან/და გამგეობის გადაწყვეტილებით, ან/და საზოგადოების წევრთა საერთო შემადგენლობის 1/10-ის მოთხოვნით;

6.2 საერთო კრების დღის წესრიგში წესდების ცვლილებებს საკითხის შეტანას წყვეტს გამგეობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცვლილებებისა და დამატებების პროექტი წარდგენილ იქნა საზოგადოების წევრთა ერთი მეათედის მოთხოვნით.

6.3 საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 1/4. საერთო კრება გადაწყვეტილებებს
იღებს დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.

6.4 საერთო კრება:

ა) დამსწრეთა ორი მესამედის უმრავლესობით იღებს საზოგადოების წესდებას და ცვლილებები შეაქვს
მასში.

ბ) ფარული კენჭისყრით დამსწრეთა ფარდობითი უმრავლესობით ირჩევს გამგეობის წევრებს. ხმების
თანახმად გაყოფის შემთხვევაში იმართება წილის ყრა;

გ) ისმენს საზოგადობის საქმიანობასა და ფინანსურ ანგარიშს;

დ) დამსწრეთა უმრავლესობით ამტკიცებს გამგეობის მიერ წარმოდგენილ საზოგადოების საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;

ე) დამსწრეთა უმრავლესობით 1 წლის ვადით ირჩევს საზოგადობის სარევიზიო კომისიას;

ვ) დამსწრეთა 2/3 იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ;

ზ) წევრთა 4/5 იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის თვითლიკვიდაციის შესახებ;

თ) იღებს გადაწყვეტილებას წევრის საზოგადოების გარიცხვის შესახებ.

6.5 რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების გამგეობის მიერ:

ა) საკუთარი ინიციატივით;

ბ) თავმჯდომარის ან საზოგადოების წევრთა მეათედის მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს ორი თვისა ;

გ) სარევიზიო კომისიის ინიციატივით.

მუხლი 7

ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

7.1 საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს საზოგადობის თავმჯომარე ერთპიროვნულად, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოადგილე.

7.2 საზოგადოების სპეციალური წარმომადგენელია აგრეთვე აღმასრულებელი დირექტორი.
აღმასრულებელი დირექტორის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ფარგლები, აგრეთვე მისი
საქმიანობის წესი განისაზღვრემა გამგეობის მიერ დამტკიცებული დებულებით.

7.3 საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე და სპეციალური წარმომადგენელი საზოგადოების საქმეებს უნდა უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად. ისინი საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ მის წინაშე სოლიდარულად.

მუხლი 8

გამგეობა

8.1 საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოა 10 წევრისაგან შემდგარი საზოგადობის გამგეობა, რომლის წევრებსაც 1 წლის ვადით ირჩევს საერთო კრება. გამგეობის შემადგენლობა ყოველწრიულად
განახლდება ერთი მესამედით. გამგეობის წევრად შეიძლება აირჩეს ის პირიც, რომელიც არ იმყოფება საერთო კრებაზე, თუ არსებობს მისი წინასწარი წერილობითი თანხმობა გამგეობის წევრად არჩევის
თაობაზე.

8.2 გამგეობის სხდომები იმართება ყოველი კენტი თვის ბოლო კვირაში. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა
საზოგადოების თავჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან გამგეობის წევრთა ერთი მესამედის
მოთხოვნით. გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გამგეობის
წევრებს და საზოგადოების ტერიტორიული და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს გამგეობის ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ეცნობებათ სხდომამდე 7 დღით ადრე მაინც,
ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში – დაუყოვნებლივ.

8.3 გამგეობა:

ა) გამგეობის წევრთაგან ფარული კენჭისყრით ირჩავს საზოგადოების თავჯდომარეს; თავჯდომარის წარდგინებით გამგეობის წევრთაგან ფარული კენჭისყრით ირჩევს მის მოადგილეს;

ბ) იწვევს და იტარებს საერთო კრებას, კრების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ორი კვირით ადრე
მაინც აცნობებს საზოგადობის წევრებს;

გ) საზოგადოების წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს საერთო კრებისათვის წაერსადგენად
აქვეყნებს კრებმდე ერთი ღვით ადრე;

დ) იძლევა თანხმობას აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნაზე;

ე) ფარული კენჭისყრით წყვეტს საზოგადობის წევრად მიღების საკითხებს;

ვ) სარეკომენდაციო წერილი მიმართავს საზოგადობის იმ წევრს, რომლის საქმიანობაც ეწინაარმდეგება საზოგადობის მიზნებს ან რომელიც უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

ზ) აღგენს წევრობის მსურველებთან და წევრებთან ურთიერთობის წესს;

თ) შეიმუშაცვებს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს საზოგადოების საქმიანობის
სტრატეგიულ მიმართულებებს;

ი) ამტკიცებს საზოგადოების მიერ გაეწულ საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს საერთო კრებისათვის
წარსადგენად;
კ) ამტკიცებს საზოგადოების სტრატეგიულ განვითარების გეგმასა და საბიუჯეტო პარამეტრებს;
ლ) წყვეტს საზოგადოების რეგისტრირებულ ორგანიზაციებში წევრობისა და იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობის საკითხს;
მ) ამტკიცებს აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობის შესახებ დებულებას;
ნ) ამტკიცებს აღმასრულებელი დირექტორის ანგარიშს გაწეული საქმიანობს შესახებ;
ო) ადგენს საზოგადოების თანამშრომელკთა სახელფასო ბადეს;
პ) თავჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოების ორგანიზაციულ სტრუქტურას;
ჟ) ირჩევს საზოგადობის ბეჭდვითი ორგანოს სარედაქციო საბჭოს;
რ) თავჯომარის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებებს საზოგადოების რეგიონული ერტეულების
შექმნისა და გაუქმების შესახებ, ამტკიცებს მათ დებულებებს და ხელმძღვანელებს;
ს) ფარული კენჭისყრით საზოგადობის წევრთა უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენებს საზოგადობის
თავჯდომარეს, მის მოადგილეს და აღმასრულებელ დირექტორს;
ტ) აფუძნებს საზოგადოების საწარმოებს და საზოგადოების თავჯდომარის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს;
უ) წყვეტს სხვა საკითხებს რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და სხვა
მმართველი ორგანოების კომპეტენციას.
8.4 გამგეობის წევრის უფლება მოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში
გამგეობის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი, მაგრამ გამგეობის წევრად არჩევისათვის არა საკმარისი რაოდენობა უკანასკნელ საერთო კრებაზე.
თანაბარი ხმების მქონე პირთაგან გამგეობის წევრი შეირჩევა გამგეობის მიერ ჩატარებული წილისყრით. ახლად არჩეული გამგეობის წევრი უფლებამოსილებას ახორციელევს გამოკლებული გამგეობი წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 9

თავმჯდომარე

9.1 საზოგადოების თავმჯდომარეს და მის მოადგილეს თავის წევრთაგან ერთი წლის ვადით ირჩევს
გამგეობა მორიგი საერთო კრების შემდეგ სხდომაზე.
პირი საზოგადოების თავმჯდომარედ არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ ორზე მეტი ვადით.
თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს გამგეობის ყველა წევრს.
ახლად არჩეული თავმჯდომაე ასახელებს თავისი მოადგილის კანდიდატურას.
საზოგადობის თავმჯდომარისა და მოაგილის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება შესაბამისად ახალი თავმჯდომარისა და მოადგილის არჩევამდე.

საერთო კრების შემდეგ თუ თავმჯდომარე და მოადგილე, ახალი თავმჯდომარის და მოადგლის არჩევამდე ვერ ასრულებენ თავიანთ უფლება მოსილებებს, ასეთ შემთხვევაში მათი ფუნქციების შესრულება დაევალოს გამგეობის უხუცეს წევრს.
9.2 თავმჯდომარე:
ა) წარმართავს საზოგადოების საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;
ბ) ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას და უძღვება მის სხდომებს;
გ) წარმოადგენს საზოგადოებას სხვა პირებთან ურთიერთობაში;
დ) წყვეტს საზოგადოების კონკრეტული მიზნით შექმნილ კოალიციებში გაერთიანების საკითხებს და ამის შესახებ აცნობებს გამგეობის წევრებს;
ე) ზედამხედველობს საზოგადოების ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალურ ქონების მართვას;
ვ) უძღვება საზოგადოების წევრებთან და წევრეობის მსურველებთან მუშაობას გამგეობის მიერ დადგენილი წესით;
ზ) ხელს აწერს საზოგადოების ოფიციალურ დოკუმენტებს გარდა ფინანსური დოკუმენტაციისა;
თ) გამგეობას დასამკიცებლად წარუდგენს საზოგადოების ორგანიზაციულ სტრუქტურას;
ი) აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნამდე ასრულებს მის ფუნქციებს
კ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.
9.3 მოადგილე თავმჯდომარის რწმუნებით ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილების ფარგლებში. საზოგადოების თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში ახალი თავმჯდომარის არჩევამდე მის ფუნქციებს ასრულებს მისი მოადგილე.
9.4 თავმჯდომარის (მოადგილის) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობის შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან საზოგადოების საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ გამგეობას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ერთი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარეს (მოადგილეს) დარჩენილი ვადით.
9.5 საზოგადობის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს იმავდროულად იყოს საჯარო სამსახურში ან ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელს უშლის მის მიერ თავმჯდომარის უფლებამოსილებათა განხორციელებას დატვირთვის ან ინტერესთა შეუთავსებლობის გამო.
9.6 საზოგადობის თავმჯდომარის ხელფასის ოდენობას განსაზღვრავს გამგეობა.

მუხლი 10

აღმასრულებელი დირექტორი

10.1 აღმასრულებელ დირექტორს სამი წლის ვადით ნიშნავს თავმჯდომარე გამგეობის თანხმობით;
10.2 აღმასრულებელი დირექტორი:
ა) მოქმედებს საზოგადოების სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში, ასევე გამგეობის მიერ დამტკცებულ დებულების ფარგლებში წარმოადგენს გამგეობას მესამე პირებთან ურთიერთობაში გარდა თავმჯდომარის და გამგეობის უფლებამოსილებას განკუთვნილი საკითხებისა;
ბ) გაწეული საქმიანობის შესახებ 6 თევში ერთხელ ანგარიშს აბარებს გამგეობას;

გ) გამგეობის მიერ დადგენილი წესით განკარგავს საზოგადოების ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე, ხელს აწესრს შესაბამის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას;
დ) ამტკიცებს განსახორციელებელი პროგრამების პროექტებს;
ე) დებს ხელშეკრულებებს პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების სახელით;
ვ) თავმჯდომარეთა შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს პროექტების კოორდინატორებს;
ზ) ნიშნავს და ათავისუფლებს საზოგადოების თანამშრომლებს;
10.3 აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობის წესიუ განისაზღვრება გამგეობის მიერ დამტკიცებული დებულებით;
10.4 აღმასრულებელ დირექტორთან იდება შრომითი ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერს საზოგადოების თავმჯდომარე.

მუხლი 11

სარევიზიო კომისია:

11.1 საზოგადოების თავმჯდომარის, გამგეობის, აღმასრულებელი დირექტოირისა და მათ მიერ დანიშნული (დამტკიცებული) თანამდებობის პირების მიერ საზოგადოების წესდების შესრულებისა და ფინანსური სახსრების თუ სხვა ქონების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე კონტრილს ახორციელებს საზოგადოების სარევიზიო კომისია, რომელსაც სამი წლის ვადით ხუთი წევრის შემადგენლობით ირჩევს საერთო კრება. შარევიზიო კომისია არჩევიდან ერთი თვის განმავლობაში საკუთარ წევრთაგან ირჩევს თავმჯდომარეს. სარევიზიო კომისია მუშაობს მის მიერ შემუშავებული რეგლამენტით.
11.2 სარევიზიო კომისიასი შემავალი პირი იმავდროულად არ შეიძლება იყოს საზოგადოების გამგეობის წევრი ან მუდმივი ანაზღაურების მქონე თანამშრომელი.
11.3 სარევიზიო კომისია 6 თვეში ერთხელ მაინც აწყობს საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტების რევიზიას და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციას. რევიზიის შედეგები მოხსენდება გამგეობასა და მორიგ საერთო კრებას. სარევიზიო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით.
11.4 სერიოზული დარღვევებს გამოვლენის შემთხვევასი სარევიზიო კომისია იწვევს გამგეობის რიგგარეშე სხდომას ან რიგგარეშე საერთო კრებას და გაუძღვება მას
11.5 სარევიზიო კომისიის წევრის უფლება მოსილებოის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში კომისიის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი. მაგრამ სარევიზიო კომისიის წევრად არჩევისათვის არა საკმარისი რაოდენოიბა უკანასკნელ საერთო კრებაზე. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან სარევიზიო კომისიის წევრი შეირჩევა კომისიის მიერ ჩატარებული წილის ყრით. ახლად არჩეული სარევიზიო კომისიის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს გამოკლებული კომისიის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 12

მრჩეველთა საბჭო:

12.1 საზოგადოების საკონსულტაციო ორგანო გამგეობის მიერ 7 წევრისაგან შექმნილი საზოგადოების მრჩეველთა საბჭო. საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს

გამგეობა. მრჩეველთა საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოის თავმჯდომარეს. მრჩეველთა საბჭოს სხდომები მოიწვევა დებულებით განსაზღვრულ ვადებში და წესით საზოგადობის თავმჯდომარის, გამგეობის, სარევიზიო კომისიის ან საბჭოს ინიციატივით.

მუხლი 13

საზოგადოების ქონება:

13.1 საზოგადოების ქონება იქმნება საწევრო შენატანები, წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობების,
გრანტების დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.

13.2 საზოგადოების ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

მუხლი 14

საზოგადობის საქმიანობის შეწყვეტა:

14.1 საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება) ხდება შემდეგ შემთხვევებში;

ა) საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილებით;

ბ) გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის ან რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში;

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში;

14.2 საზოგადოების ლიკვიდაციას ახორციელებს აღმ,ასრეულებელი დირექტორი;

14.3 ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა იმავე ან მსგავსი მიზნების სხვა არასამეწარმეო იურიდიულ პირს ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებვის საფუძველზე.